ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

გოგიტა მოდებაძე - საკრებულოს წევრი 30.10.2025 წლიდან

მე, როგორც ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში (30.10.2025 დან 01.10.2025 წწ) ჩემ მიერ გაწეული საქიანობის ანგარიშს. ამავდროულად ვარ, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპელი სოციალისტები'' - ს **თავმჯდომარე** , ახალციხის მუნიციპალიტეტის ,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს" - **წევრი,** ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიების წევრი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული სხდომების, კომისიების, ფრაქციისა და საბჭოს სხდომების საერთო რაოდენობა და ჩემი დასწრების სტატისტიკა ასეთია:

საკრებულოს სხდომა: ჩატარებულ 17 სხდომა, ვესწრებოდი სრულად.

ჩატარდა ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების" 1 სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ჩატარდა 9, დავესწარი -7 .

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია ჩატარსდა 3, დავესწარი სრულად.

ჩატარდა ,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს" ერთი სხდომა, რომელსაც ასევე ვესწრებოდი.

ჩემს მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება.

- სამანდატო დროებითი კომისიის შექმნის მხარდაჭერა.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის დამტკიცება.
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონება.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ცვლილებების შეტანა.

საანგარიშო პერიოდში, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მოსახლეობასთან მქონდა მჭიდრო კომუნიკაცია, ყოველდღიურად ვეცნობოდი მათ საჭიროებებსა და პრობლემებს, რომელთა მოგვარებასაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთათ ვახორციელებდი. ასევე, საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებულ და დაგეგმილ ღონიძიებებს.

შევსების თარიღი: 19.10.2026

წარდგენის თარიღი: 30.10.2026

ხელმოწერა: